გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 174
2022 წლის 9 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2022 წლის მარტიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.	ოქტომბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
2	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს 2021 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ოქტომბერი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
3	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში	ნოემბერი	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია **მერაბ მელანაშვილი**
4	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2022 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში	ნოემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
5	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2021 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ნოემბერი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**

6	გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	ნოემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
7	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2021 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.	ნოემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**
8	გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის,განათლების ,სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
9	1.გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. 2.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
10	1.ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. 2.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
11	სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში	დეკემბერი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**

12	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში	დეკემბერი	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების,აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია **მერაბ მელანაშვილი**